ფასი 40 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

## საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 10. კვირა, 4 აგვისტო 1918 წ. № 10

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

---

## ფინანსთა სამინისტროს კანცელარია

წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებათ (სააქციონერო ბანკები, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის, «ბანკირების» კონტორები, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები, ქალაქის საზოგადო ბანკები, საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები, ლომბარდები და სხვ), რომელნიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში თავიანთი წესდებები და მისამართი, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქმნას ყოველ თვიურად ბალანსი, დაწყებული ამა წლის **1** ივნისიდან.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი დ. ა ფ ხ ა ზ ი.

29 ივლისი, 1917 წ. № 950|234.

---

## საქართველოს რესპუბლიკის

### მხედრობის მომარაგების უფროსის სამმართველოს საინტენდანტო ნაწილი,

თანახმად მხედრობის მომარაგების უფროსისა, ამით აცხადებს, რომ 11 აგვისტოს 1917 წ., დღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თბილისის მეორე სასურსათო მაღაზიის ეზოში (რკინის გზის ლიანდაგის ახლო, დიდუბეში) გასასყიდათ სხვა-და-სხვა ზომის ყუთებისა, კასრების (ბოჩკებისა) და რკინის ბიტონებისა. გაყიდვა მოხდება კარგი ყუთებისა და ბოჩკებისა სათითაოდ, მხოლოდ დანარჩენისა კუბიკური საჟენობით, ბიტონებისა კი თვლით, თითოულობით. გადარჩევა ყუთებისა, დადგმა საჟენებათ და ბიტონების რაოდენობის გამორკვევა, სავალდებულოა მყიდველთა ხარჯზე. ყიდვის დროს უნდა გადიხადოს მყიდველმა ნახევარი ღირებულობა ნახყიდი მასალისა. საჯარო ვაჭრობის შემდეგ მყიდველს მიეცემა ერთი თვის ვადა. ამ ვადის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად დამზადებისამებრ და ანგარიშის გასწორებისა, მიეცემა მყიდველს გადატანის უფლება მაღაზიის ეზოდან. ქალაქში თავისუფალად გასატარებლად მყიდველს მიეცემა განსაკუთრებითი მოწმობა საინტენდანტო ნაწილიდან. ხის მასალა, რომელიც დანიშნულია გასასყიდათ გამოდგება ხილის ყუთების და ბოჩკების გასაკეთებლად, უვარგისი კი შეშებად. ბიტონები მოიხმარება სახლში სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის. მსურველთათვის ყველა საჯარო ვაჭრობაზე გასასყიდ ნივთების ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 10 ს. საღამოს 6 ს. ადგილობრივ მაღაზიის ზედამხედველის ნებართვით. 3—3

---

## განცხადება.

კავკასიის შავიქვის ლიკვიდაციის განსაკუთრებითი მართველობა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, 18 თიბათვის 1918 წლის დადგენილების თანახმად, ამით აცხადებს, რომ გელზენკირხენის ფირმის სამთო-სამრეწველო აქციონური საზოგადოებისა და კავკასიის სალითონო ამხანაგობის დაწესებულებანი გადაეცემათ ყოფილ პატრონებს: გელზენკირხენის საზოგადოება ი. ს. პერსინაკს და კავკასიის სალითონო ამხანაგობა ვ. ა. პაპავას. ზემოდასახელებული პირნი ამა წლის 31 ივლისიდან შეუდგებიან ზედამხედველის და წარმომადგენლის თანამდებობის ასრულებას. ამიტომ ძალას კარგავენ ყველა ოწმუნებულებანის საბუთები, რომელნიც სხვა და სხვა დროს არის მიცემული დ. ქიათურის განსაკუთრებულ მართველობის უფროსის ნ.—ნ. ანდრეევის და მართველობის წევრის ქუთ. საოლქო სასამართლის თავმჯდომარის ამხანაგის ს. გ. მიქელაძის მიერ.

თავმჯდომარე განსაკუთრებული მართველობისა არატასიევი.

წევრი განს. მართველობისა კოვალენსკი.

---

## წმ. ნინოს სასწავლებლის საზაფხულო ბაღი.

დღეს, 4 მარიამობისთვეს.

მეხუთე ქართულ პოლკში მსახურთა შვილების გამოსაზრდელ ფონდის დასაარსებლად.

გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

I.

### დიდი სეირნობა

კონცერტი, კაბარე და ცეკვა საღამოს სამ საათამდე.

II.

### კონცერტი

ორ დიდ განყოფილებად.

მონაწილეობენ: თბილისის სახელმწიფო თეატრის მსახიობნი ქ-ლნი: შვამბერგი, მილიავისა-კორონა, ფიროვისა. ბ-ნნი: კანშინი, ვრონსკი, ნიკოლსკი და ინაშვილი.

კონფერანსი ნ. ა. დ ი გ ო ვ ი. — როიალთან სანდრო კ ო რ ო ნ ა.

სეირნობა დაიწყება 8 საათზე } ახალი დროით.
კონცერტი „ 9 „ }

ბილეთები იყიდება „ძმურ ნუგეშში“ 8—10 ს. საღამოთი აგრეთვე პოლკის შტაბში (საპ[illegible]რის ქუჩა).

საღამოს პასუხის-მგებელი გამგე ვ. დ. ბ ა ო ნ ა ბ ი შ ვ ი ლ ი.

თანაშემწე კ. ბ ა დ რ ი შ ვ ი ლ ი. საღამოს დიასახლისი ქ-ნი ბ ა ლ უ ე ვ ი ს ა.

---

## განცხადება.

გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა მოაწყოს ავტომობილებით მიმოსვლა მგზავრების, ბარგის, ფოსტის და სხვ. გადასაზიდად შემდეგ მიმართულებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე: 1) თბილისი—ყაზბეგი, 2) თბილისი—კოჯორი—მანგლისი, 3) თბილისი—თეთრი-წყლები, 4) თბილისი—ვორონცოვკა, 5) სიღნაღი—წნორის-წყალი—ლაგოდეხი, 6) თელავი—თიონეთი, 7) გორი—ცხინვალი, 8) გორი—მეჯვრის-ხევი, 9) ვაზიანი—გომბორი, 10) ბორჯომი—აწყური, 11) ქუთაისი—ხონი—სამტრედია, 12) ქუთაისი—ბაღდადი—აბასთუმანი, 13) ქუთაისი—ონი, 14) სენაკი—ზუგდიდი—სოხუმი, 15) სოხუმი—გაგრა, 16) ფოთი—სუფსა, 17) ნატანები—ოზურგეთი—ჩოხატაური—საჯევახო, 18) აბაშა—ბანძა—ნოღალევი და 19) იანეთი—დიდი—ჯიხაიში. ამ მიზნისათვის გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილება მოუწოდებს მსურველებს კონცესიის ასაღებად შემოიტანონ განცხადება. აღნიშნულ გზებზე კონტრ-აგენტებს ექნებათ ავტომობილების მიმოსვლის მონოპოლიის უფლება. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილებაში, პეტრე დიდის ქუჩა, № 8. დეპეშით ან ფოსტით ცნობების მოწოდება არ შეიძლება. უკანასკნელი ვადა განცხადების შემოტანის დანიშნულია 10 აგვისტოს შუადღის სამ საათამდის. შემდეგ შემოსული განცხადებები, როგორი საშუალებითაც არ უნდა იქნეს ისინი ფოსტით თუ დეპეშით, ან როგორის შინაარსის და წინადადებით—მხედველობაში მიღებული არ იქნება. 3—1

---

## განცხადება

### საქონლის გამცვლელ კომიტეტისა.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებული საქონლის გამცვლელი კომიტეტი სთხოვს ყოველ გვარ სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს და პირებს ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ზემოხსენებულ კომიტეტს (თბილისი ჭავჭავაძის ქუჩა **№ 2**) სია (რაოდენობა და ხარისხი) იმ საქონელთა, რომელებიც მათ სურთ შეიძინონ გერმანიიდან-ვინაიდან კომიტეტი ამ მოკლე ხანში გზავნის გერმანიაში კომისიას საქონლის ყიდვის და გამოტანის მოსაწყობად. ამ კომისიის გარეშე საქონლის შემოტანა გამნელებული იქნება.

კომიტეტის თავმჯდომარე მინისტრის ამხანაგი

მდივანი: თ. ჟიჟინაძე. 3—1

---

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

(25 წლის ნაშრომი)

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი ი ო ს ე ბ ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ს-მ ი ე რ, მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა, უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა. შეიცავს 1,100 გვ., აწყობილ-დაბეჭდილია კორპუსით, უშვოუნოდ, კარგს ქაღალდზე, დართული აქვს უ ც ხ ო ა ნ დ ა ზ ა-წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ნ ი, საუცხოო ყდით (უყდოთაც არის). ხელის მომწერთ გვაცნობონ თვისსი მისამართები. წიგნი გასასყიდად მოიპოვება. მსურველთ მიმართონ „თეატრი და ცხოვრება-ს რედაქციაში (თბილისი, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, მეწიგნეების რიგზე, ბაზრის ქ. № 20, სახ. არჯევანიძისა).

(5—4)

## ოფიციალური განყოფილება

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის

14 ივლისი 1918 წ.

№ 13.

დამტკიცდეს: ხონის სავაჟო გიმნაზიის ქართულ ენის მასწავებლის თანამდებობაზე მღ. იოანე რუხაძე 1917 წ. 1 ენკენისთვიდან.

17 ივლის 1918 წ.

№ 14

დამტკიცდეს, ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობაზე გიორგი მარგალიტაძე, რომელიც ამავე თანამდებოობის ასრულებდა სამეგრელოს უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში.

ფოთის საქალებო გიმნაზიაში ქართულ ენაზე საგნების მასწავლებლბად—მარგარიტა ლორთქიფანიძე და ავქსენტი მეგრელიძე.

1 ივნისიდა 1918 წ.

ხონის საქალო გიმნაზიის ქართულ ენაზე საგნების მასწავდებლის თანამდებლობაზე ერმალოზ კიწმარაშვილი 1 აგვისტოდან 1918 წ.

17 ივლისი 1918 წ.

№ 15

დამტკიცდეს: თფილისის კონსერვატორის სამხედრო საბჭოს დადგენილების თანხმათ, ზ. პ. ფალიაშვილი ხსენებულ კონსერვატორიის დირექტორად.

18 ივლისი 1918წ. ქ. ტფილისი.

№ 16;

დამტკიცდეს: ოზურგეთის საქალო გიმნაზიის უფროსის თანამდებობის ალმასრულებელი ანნა (იგივე ანასტასია) როსტომ მგელაძის ასული აღნიშნულ თანამდებობაზე; გიმნაზიის მასწავლებლის ხარისხსა და თინამდებობაზე: ტფილისის ქალთა მეოთხე გიმნაზიის მასწავლებელი ლ. ი. ნათაძე 1915 წ. 1 ნოემბრის მაგიერ 1912 წ. 1 ნოემბრიდან; ტფილისის მეექვსე სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელი პ. ფედორჩენკო 1913 წ. 24 ივნისის მაგიერ 1910 15 აგვისტოდან; ხაშურის სავაჟო გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი მ. კ. იოსელიანის ასული 1915 წ. 12 აპრილიდან; ხონის სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელი გ. მ. ბერიძე-ქართული ენის შტატის მასწავლებლად 1918 წ. 1 იანვრიდან.

18 ივლისი 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 17;

განთავისუფლებულ იქმნას სამსახურიდგან კავკასიის სასწავლო ოლქის კომისრები; ლ. ა. იშკოვი, ლ. ი. ნათაძე, ს. ფ. ტიგრანიანი და გ. შახტატინსკი 1918 წ. 18 ივლისიდან.

დაევალოს ხელმძღვანელობა სასწავლო ოლქის ლიკვიდაციისს ლ. ა, იშკოვს 1918 წლის 18 ივლისიდან.

18 ივლისი 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 18.

განთავისუფლებულია: 1918 წლ. 18 ივლისიდან ნ. სპილიოტი-ელინთა გიმნაზიის დირექტორის თანამდებობიდან თანახმად მისი თხოვნისა.

ევალება: 1918 წლ. 18 ივლისიდგან ელინთა გიმნაზიის დირექტორის თანამდებობის აღსრულება დროებით-იმავე გიმნაზიის მასწავლებელს ბ-ნს ნალპანისს.

23 ივლისის 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 19;

დამტკიცდეს: თბილისის პირველი ქალთა გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელის თანამდებობის ალმასრულებელი ანნა დიაკონენკო 1817 წლის 6 ივლისიდგან.

29 ივლისი 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 21,

დაამტკიცეს. ქ.) ქუთაისის უმაღლეს დაწყებითი სასწავლვბლის მასწავლებაელი მღ. ივანე ცქიტიშვილი ამავე სასწავლებლის ქართულ ენის მასწავლებლალ 1917 წ. 1 ოქტომბრიდგან.

ბ. ელენე დეშქაშელისა ქუთაისის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ქართულ ენის მასწავლებლად 1917 წლის 1 ოქტომბრიდან.

გ. ლაილაშის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობის დროები თალმასრულებელი კოსტანტინე ინჯია-ამავე თანამდებობაზე, 1917 წლის 1 ოქტომრიდგან.

სახალხო განათლების მინისტრი: გ. ლასხიშვილი.

დედანთან სწორეა საქმის გამომძიებელი კ. აბაშიძე,

### ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

1 ავგისტო, 1918 წ.

№ 22.

დანიშნულია: კონსტანტინე ბეჟანის ძე საბახტარაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

მთავრობის საქმეთა მმართველის მაგიერ მისი თანაშემწე ს. კაკაბაძე.

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპიბლიკის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსი.

1 აგვისტო, 1918 წ. ქ: თბილისი,

№ 217.

ინიშნება: ავქსენტი ფარნაოზის ძე აფაქიძე თიონეთის მაზრის კომისრად.

დათხოვნილია: ამა წლის 20 მაისიდან თიონეთის მაზრის კომისრის თანამდებობიდან, და სრულებით სამსახურიდან, თანხმად თხოვნისა, ლაცაბიძე.

1 ამვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი,

№ 218.

შტატს გარედ ირიცხება ამა წლის 20 მაისიდან: მდივანი შინაგან საქმეთა მინისტრის ლევან იოსების ძე გარსიევი, რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში ახალ შემოტებული შტაბების მიხედვით მესამე მდივნის თანამდებობა გაუქმდა.

შინაგან საქმეთა მინასტრის ამხანაგი კ. საბახტარიშვილი.

დედანთან სწორეა: განყოფელების უფროსი ვ. თულაშვილი.

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

„1" აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი,

№ 23.

ინიშნება: გამგე საბიუჯეტო და სახაზინო განყოფილების ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიისა სით დიმიტრის ძე ჰანტურაშვილი ამავე კანცელარიის დირექტორად.

თავისუფლდება: თანამდებობისაგან და სრულიად სამსახურიდგან ავათმყოფობის გამო და თანახმად თხოვნისა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ნიკოლოზ გაბრიელის ძე კელარევი.

თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისრი გ. ჟურული.

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 4 აგვისტო.

ჩვენს რესპუბლიკას და მის მთავრობას უკიჟინებენ: ძალ-მომრეობას ხმარობ, ტერორს აწარმოებ და დემოკრატიულ პრინციპებს ლალატობო.

ვინ უკიჟინებს ამას ჩვენ რესპუბლიკანურ მთავრობას?

ვინ და ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაუძინებელი მტრები.

აქ არიან პირველყოვლისა ბალშევიკები, რომლებიც წარმოუდგენელ ველურობას და შეუბრალებლობას იჩენენ თავის უბრალო იდეიურ მოწინაღმდეეგებისადმიც კი.

არ არის საშვალება, არ არის ბოროტმოქმედება, რომელსაც არ სჩადიოდეს „სახელმწიფოებრივ კომუნისტური" ბალშევიზმი მოწინაამდეგეთა და სხვა ნაირათ მოაზროვნეთა გასანადგურებლათ· რუსეთში ბალშევიკების ყოველ ძალა-უფლება ხოცვა-რბევის და ბოროტმოქმედების ძალაუფლებაა. ყოველი მათი საბჭო „სოვდეპი" ცენტრალური იქნება იგი თუ ადგილობრივი, დაწყებული პეტერბურგ-მოსკოვიდან გათავებული არმავირ-ბაქოთი, აწარმოებს სრულიად გაუმართლებელ შურის ძიების და უბრალოდ კაცის კვლის პოლიტიკას.

და აი ეს ვაჟბატონები გამოსულან და საქართველოს რესპუბლიკას უკიჟინებენ ძალ-მომრეობას და ტერორს ხმარობსო.

მემარცხენე ესერები იგივე გაველურებული და გადაბრუნებული ბალშევიკები არიან. ვითამ ბოლო ხანში გაიყარენ ბრესტის ხელშეკრულობის დაფასების საკითხში. მათი ტერორი და დამთვრალი სალდათის ხიშტის ხმარება დემოკრატიის გულის გასაგმირავათ ყველას მოეხსენება.

ტერორი და ბრიყვული ძალ-მომრეობა მათი საზოგადოებრივი ბრძოლის ფილოსოფიაა. მათი უგზო-უკვლობა იქამდის მივიდა, რომ გერმანიის იმპერიალიზმის წინაამდეგ ბრძოლის ტერორისტულ აქტებით ფიქრობს. მირბახის და ეიხგორნკ დრესლერის დაღუპვა ამის დამტკიცებელია.

და აი ეს ტერორზე შეშლილი, გაუგებარი და უკულტურობით დადაღული ადამიანები საქართველოს რესპუბლიკანურ მთავრობას ამტყუნებენ-ტერორს აწყობო.

ახლა ნახეთ ყოველ ჯურის მომარჯვენე და გაშავრაზმებული ლიბერალები როგორ აღშფოთებულან ჩვენი მთავრობის „ძალმომრეობითი" პოლიტიკით. როგორც იცით, ისინი ყოველთვის ბნელეთის, სალრჩობელის, კატორღის და მათრახის მოციქულები იყვნენ. და ახლა საქართველოს რესპუბლიკაში იცვლიან ფერს და ლიბერალდებიან! რა მოუვიდათ?

საქართველოს დამოუკიდებლობით არიან დაავადმყოფებული და რომ განიკურნონ ამისაგან უმოყვრდებიან ყველას და ყველაფერს, უკავშირდებიან ბალშევიკურ „ინტერნაციონალიზმს" და მარქსიმალისტურ სოციალიზმს. მიზანი ამართლებს ყოველნაირ საშვალებას. აკი შეთქმულებასაც აწყობდენ ისინი ჩვენი რესპუბლიკის წინაამდეგ.

რაღა უნდა ვთქვათ იმ ვითამდა ინტერნაციონალისტ-სოციალ-დემოკრატებზე, (ესმოდეს რუსულ „სოციალ-დემოკრატებს") რომელნიც რუსული ნაციონალიზმის ბრმა იარაღად გომხდარან და დემოკრატიას და რევოლიუციის მონაპოვარით ებრძვიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ერთად-ერთი წაუბილწველი ადგილი აქვთ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოში.

ოღონდ საქართველოს დამოუკიდებლობა დაიღუპოს, რევოლიუცია და დემოკრატია მეწყერსაც წაუღიაო. ასეთია მათი სულისკვეთება. ისინიც ძალა-მომრეობაში გვამტყუნებენ.

როგორია სიმართლე, სინამდვილე?

სიმართლე ის არის, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მისი დამოუკიდებლობა მიტომ გამოვაცხადეთ რომ გვიყვარდა თავისუფლება, ვიბრძოდით დემოკრატიის და, ერის ინტერესებისთვის, მიტომ რომ რევოლიუციის საქმისთვის სამსახური გაგვეწია, და გვეპატრონა ჩვენში ამ ნაირათ წარმოიშვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მას ყოველ მხრიდან მტერი ესევა და კორტნის მის სხეულს.

ნუ თუ სამშობლოს მოღალატე და თავისუფლების მტერი არ არის ის, ვინც ურჩევს ჩვენს რესპუბლიკას ვითამ დემოკრატების სახელით თავის დაცვაზე ხელი აიღოს და არ შეებრძოლოს მოსულ მტერს რა სახის და გვარისაც უნდა იყოს იგი მტერი?

დიახ, სამშობლოს მოღალატე და ჩვენი თავისუფლების მტერია. და ასეთებია ყველა ისინი, ვინც ზევით მოვიხსესენიეთ და ვისაც პრინციპად გაუხდია დემოკრატიულ საქართველოს მტრობა.

ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა თავის სახელმწიფოებრივი მოქმედებით მათ ღირსეულ პასუხს მისცემს. რამდენიც უნდა ილაპარიკონ, ის, მთელ თავის ძალღონეს საქართველოს ხელუხლებლობას და დამოუკიდებლობას შეალევს.

ის როგორც საერთო სახელმწიფოს და კერძოთ დემოკრატიული სახელმწიფოს წარმომადგენელი და მესაჭე ძალას ხმარობს წესიერების ჩამოსაგდებათ და კანონიერის გზით ანხორციელებს სახელმწიფოებრივ ძალდატანებას შეიარაღებულ მტრების მიმართ. ეს სამღვთო მოვალეობის შესრულებაა დემოკრატიის წინაშე მათ საწინაალმდეგო ზომების მიღებას რესპუბლიკანური მთავრობა არ დასტოვებს, რაც უნდა ბევრი იყვირონ მის დემოკრატიულ პოლიტიკის სისასტიკეზე გაბალშევიკებულმა კონტრ-რევოლიუციონერმა და გაკონტრ-რევოლიუციონერებულმა ბალშევიკმა.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

მკათათვის 26 საღამოს სხდომა

თავმჯდომარეობს ნ. ს. ჩხეიძე.

კრება იხსნება 9 საათსა და 15 წუთზე.

თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ. კანონ-პროექტი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტაბების დაარსების შესახებ თქვენ უკვე მოგხსენდათ. ამ კანონ-პროექტის შესახებ ვის ჰსურს სიტყვა? თუ სიტყვა არავის გნებავთ, მე საკითხის მუხლობრივ განხილვაზე გადავალ. მუხლობრივ განხილვის შესახებ ვისმეს რაიმე საწინააღმდეგო არა აქვს მომხსენებელს ვსთხოვ წაიკითხოს 1 მუხლი (ვასილ წერეთელი სიტყვას თხოულობს). თქვენ გნებავთ სიტყვა? პირველ მუხლის შესახებ თუ საზოგადოდ? (ვას. წერეთელი საზოგადოდ კანონ-პროექტის შესახებ).

ვასილ წერეთელი (ერ.-დემ.). ბატონებო, ეროვნულ საბჭოს წევრნო! ეროვნულ დემოკრატიული ფრაქცია ფიქრობს, რომ ეს კანონ-პროექტი დღეს არ უნდა დაკანონდეს, არამედ ხელ-ახლა უნდა გადისინჯოს თვითმმართველობის კომისიაში და საგუბერნიო საადმინისტრაციო ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს.

საქმე ის არის, რომ ჩვენის ფიქრით, საგუბერნიო ადმინისტრაციის ინსტიტუტი და მასთან არსებული ინსტანციები არ უნდა იქნენ.

გუბერნიის კომისარი იგივე გუბერნატორი არის, გუბერნიის კომისარი იგივე სატრაპია. ძველად სპარსეთი მეხუთე და მეექვსე საუკუნეში სატრაპიებად იყო დაყოფილი და თვითეული სასატრაპოს განაგებდა სატრაპი, ასევე გუბერნიის კომისარი. ასევე იყო რუსეთის იმპერიაში გუბერნატორი უკანასკნელ დრომდის.

გუბერნიის კომისარი თავის გუბერნიაში იგივე შინაგან საქმეთა მინისტრია.

მაშასადამე ჩვენ გვეყოლება 2 გუბერნატორი და 1 მინისტრი. ასე რომ საქართველოში 3 შინაგან საქმეთა მინისტრი იქნება. შინაგან საქმეთა მინისტრი და გუბერნიის კომისარი—ერთი მეორის ანტიპოდია.

შემდეგ ამისა, ეს გუბერნატორი, ანუ გუბერნიის კომისარი უპასუხისმგებლო თანამდებობაა. არავის წინაშე ის პასუხს არ აგებს. ადმინისტრაცია ემორჩილება, როგორც ცენტრს, მთავრობას, ისე თვითმმართველობას. მთავრობის წრეებში და თვით ეროვნულ საბჭოს წევრებში ის აზრი ტრიალებს, რომ საგუბერნიო ერობა არ უნდა იყოსო, სრულიად საკმაო არის იყოს სამაზრო საერობო თვითმმართველობა და სამაზრო კომისარი.

სამაზრო კომისარი დაემორჩილება როგორც სამაზრო მთავრობას, ისე თვითმმართველობას.

რაც შეეხება უპასუხისმგებლო გუბერნიის კომისარს, იგი არ უნდა იყოს.

შესაძლოა ეს თანამდებობა საჭირო იყოს კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლის გამო, მაგრამ როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლამ დაგვიმტკიცა მთავრობას და გაბატონებული პარტიას მეტად ფართედ ესმის „კონტრ-რევოლიუციასთან" ბრძოლა, მას მეტად გაურკვეველი შინაარსი მიაჩემს, ამიტომ სამოქალაქო ომის წარმოსაშობ ზედმეტ იარაღს ვერ ჩავიდებთ ხელში.

დასასრულ თუ ფინანსების მხრივ შევხედავთ ამ საკითხს და გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა ღარიბი რესპუბლიკაა, საგუბერნიო ადმინისტრატიულ ინსტანციის გაუქმებას ფინანსიური მხრითაც დიდი მნიშვნელობა ექნება.

ამიტომ ჩვენს ფრაქციას შემდეგი წინადადება შემოაქვს:

შემოტანილი კანონპროექტი დაუბრუნდეს ადგილობრივ თვითმართველობის კომისიას, რათა იგი გადასინჯულ და შესწორებულ იქნეს საგუბერნიო ადმინისტრატიული ინსტანციის გაუქმების მხრივ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს.

ნ. რამიშვილი. მოქალაქენო!

ეროვნულ დემოკრატიული პარტია მეტად დაინტერესებულია შინაგან საქმეთა მინისტრის უფლების დაცვის საკითხში.

შინაგან საქმეთა მინისტრი კი ფიქრობს, რომ არაფრით არ შებღალულა მისი უფლება, უნდა განვაცხადო, რომ არ მომხდარა ისეთი რამ, რითაც შეკვეცილიყოს ჩემი უფლება.

რაც შეეხება გუბერნიის კომისარს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მართლაც შემდეგში გუბერნიის კომისარი არ უნდა არსებობდეს. მართლაც განზრახულია, რომ ადმინისტრატიული დანაწილება ჩვენი რესპუბლიკისა სხვანაირი უნდა იყოს. მე არ ვიცი წინასწარ გადაჭრით, თუ როდის მოხდება ეს დანაწილება, მაგრამ ალბად ადმინისტრატიულ ერთეულად მიჩნეული იქნება მაზრა. მხოლოდ მაზრების რიცხვი იქნება იმაზე მეტი ვიდრე არსებობს. მაგალითად: გორის მაზრა დაყოფილი

იქნება 2 თუ 3 მაზრად, სვანეთი ცალკე ერთეულად გამოიყოფა და სხვა. შინაგან საქმეთა სამინისტრო დაინტერესებულია, რომ ასეთი ახალი ადმინისტრატიული გადამიჯნვა უკეთ შეეფერებოდეს ჩვენ დღევანდელ პირობებს მაგრამ ალბად ბატონ წერეთელსაც მოეხსენება, რომ ყოველ კანონის შესადგენად საჭიროა მასალის დაგროვება.

დიახ! ამისათვის ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რას ფიქრობენ ამის შესახებ ის ორგანოები, რა აზრისანი არიან ამის შესახებ პოლიტიკური პარტიები. რადგან საჭირო იქნება სხვა საერობო თვითმართველობის შესახებ სხვა და სხვა ორგანიზაციების მიერ დადგენილების გამოტანა.

ეს რეფორმა საბოლოო უნდა იყოს და სანამდის ასეთ დიდ რეფორმას მივიღებდეთ, საჭიროა 100 გაზომვა და ერთხელ გადაჭრა. ჩვენ ასე ვიქცევით სანამ ამ დიდ დადგენილებას გამოვიტანთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ საკითხში არ უნდა ავჩქარდეთ. ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა დავვიმტკიცონ, რომ ეს ასე არ არის საჭირო, და დღესვე ვიზრუნებთ იმ ჩვენ საგუბერნიო კომისრების თანამდებობის გაუქმებაზე, რომლებიც ამ სამიოდე თვის განმავლობაში მაინც მთელი თავის ძალ-ღონით შეძლების და გვარად ემსახურებოდენ ჩვენს რესპუბლიკას.

უმთავრესი დანიშნულება ამ კანონპროექტისა ის არის, რომ კომისრებს, იქნება ის სამაზრო თუ საგუბერნიო, მიეცეთ შესაფერისი ჯილდო.

ვინც იცის, ის ვერ უარჰყოფს, რომ მათი ჯამაგირი მეტის მეტად მცირეა, ზოგიერთ სამინისტროში, საქმის მწარმოებელი გაცილებით მეტ ჯამაგირს იღებს, ვიდრე, ეს პასუხის მგებელი პირი. თქვენც დამეთანხმებით, რომ კანონ-პროექტის აადგილობრივ თვით მმართველობის კომისიაში გადაეცემა ზედ მეტად მიმაჩნია სანამდის დიდი რეფორმა მოხდებოდეს.

რაც შეეხება ფინანსიურ მოსაზრებას, მე ვერ გამიგია რის თქმა ჰსურდათ ამით. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უნდა დასთანხმდეს, რომ ადმინისტრატიული გადამიჯვნა გამოიწვევს უფრო მეტ ხარჯს.

აქ წარმოსთქვეს, რომ გუბერნიის კომისარი არის უპასუხის მგებლო პირიო.

ეს იყო ნათქვამი, ზეპირად, ვინაიდან ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყველა პასუხის მგებელია. ვერც ერთი წევრი ეროვნულ დემოკრატიული პარტიისა ვერ წარმოადგენს ამის დასამტკიცებელ მაგალითებს, რომ ეს მართალი იყოს და გუბერნიის კომისარს რაიმე დანაშაული ჩაედინოს,—ეროვნულ დემოკრატიული ფრაქცია, რომელსაც ასე ხშირად შემოაქვს შეკითხვები, არც ამ საკითხს დასტოვებდა უყურადღებოდ და შეკითხვას შემოიტანდა. დასასრულ, უნდა ვსთქვა რომ კანონ-პროექტი მეტად საჩქაროა და არავითარი საჭიროება არ არის, რომ მოითხოვო მისი კომისიაში გადაცემა.

თუ ვისმეს რაიმე შესწორება აქვს აქ საბუთებს მოიყვანეს, საბუთებს განვიხილავთ და შესაფერ დასკვნას მივიღებთ. მე დარწმუნებული ვარ რომ ამის შემდეგ მეტად საჭირო საქმეს გადავწყეტთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: კენჭს უყრი. გნებავთ თუ არა მუხლობრივ განვიხილოთ საკითხი? ვის ნებავს მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეთ. ვთხოვ მომხსენებელს წაიკითხოს კანონ-პროექტის პირველი მუხლი.

დ. თ ო ფ უ რ ი ძ ე (კითხულობს კანონ-პროექტის პირველ მუხლს).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ნებავს იმ მუხლის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ნინიძეს.

## პრესის მიმოხილვა.

„ბორბა„ ეხება იმ კამათს, რომელიც გამოიწვია თერგის სახალხო საბჭოში საქართველოს რესპუბლიკის მიერ დაყენებულ ულტიმატუმმა.

„უპირველეს ყოვლისა, აშკარად გამოირკვა ის სიძულვილი, რომლითაც გული ევსებათ რუსეთის ბალშევიკებს იმ ერთად ერთ, ყოფილ მთელ რუსეთში, გადარჩენილ ოაზისზე რომელმაც არ მიიკარა ბოლშევიკური სენი, და რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ჰქვიან; მხოლოდ სიძულვილით დაბრმავებულს, ბოლშევიკურ ფანტიზმით შეპყრობილ ორჯონიკიძისთანა ადამიანს შეუძლიან განაცხადოს, რა „საქართველოს მთავრობას არ სცნობს არც გერმანეთი და არც თვით ქართველი ერი“-ო.

სირცხვილი ბატონ ორჯონიკიძეებს, თორემ საქართველოს ნორჩ რესპუბლიკის და მთავრობის ერთ უდიდეს ღირსებამ, სახელდობრ: რეოლიუციის მონაპოვარის შენარჩუნებამ თვით იდეიურ მოწინააღმდეგეთა ჯგუფშიაც კი ჰპოვა პატივისცემული. მაგრამ განა, ორჯონიკიძეებს და თერგის სახალხო საბჭოში თავმოყრილ „ბოლშევიკებს“ გაეგებათ რამე რევოლიუციისს მონაპოვარის შენარჩუნებისა.. ღლონღაც რომ არაფერი გაეგებათ!

* * *

„კავკაზსკოე სლოვო“ მეტად გახარებული იმის გამო, რომ გერმანეთის დელეგაციამ ინახულა ერევანში მყოფი სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა და კათოლიკოსი.

„სომხის ერის ცხოვრებაში მეტად საყურადღებო მოვლენად ჩაითვლება ის გარემოება, რომ მისი პოლიტიკური ცენტრი ინახულეს ამ ძლიერ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომელთა ხელშია სომხურ საკითხის გადამჭრელი თითქმის ყველა ძაფები: კულტურულ სახელმწიფოთა ეს ნაბიჯი მხურვალე გამოძახილს ჰპოებს სომხის ერში და წარუხოცელ ბეჭედს დაასვამს მის ფსიქიკას. ამ ნაბიჯსავე შეუძლიან, რომ სომხის ერს გერმანეთის კოალიციისკენ მიაპყრობინოს თვალები და იმედი ჩაუნერგოს, რომ ეს კოალიცია შესძლებს სომხურ საკითხის კეთილად გადაჭრას“.

არავის ბედნიერება ჩვენ არ შეგვშურებია, პირიქით მთელის ჩვენი არსებით შევუწყობთ ხელს სხვა ერის ბედნიერებას. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ დიდი ხანია, რაც „სლოვომ“ თავი დაანება დარდანელის გარღვევაზე და ბაღდადის აღებაზე ოცნებას?

## დეპეშები.

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

ბ ე რ ლ ი ნ ი, 2 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი, საღამოს საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა. მთელი ღამის განმავლობაში მზვერავთა რაზმის მოქმედება იყო.

გ ე რ მ ა ნ ე ლ კ რ ო ნ პ რ ი ნ ც ი ს ლ ა შ ქ ა რ ი გუშინ სუასონის და ფერ-ენტარდენუას შუა მტერი განაგრძნობდა თავის უნაყოფო შეტევებს. მათი მოგერების შემდეგ ჩვენ წინ წავიწიეთ, ჩვენი გეგმის მიხედვით. ძლიერი ცეცხლით ვუპასუხებდით მტრის შეტევებს ვილმონტუარის ორივე მხარეზე, მაგრამ ისინი ხარტენემდე მოვიდნენ. ეს შეტევები მალე მოვიგერეთ. მტერი დიდათ დაზარალდა. ფრანგებმა და ინგლისელებმა დიდი ძალებით დილითვე დაიწყეს შეტევები გრანდ-როზუა-ენტარდენუას ჩრდილოეთით. ბუნეის ორივე მხრით მტრის ჯავშნოსნები შამოიჭრნენ ჩვენს ხაზებში. არტილერიის ცეცხლით ისინი მალე გავფანტეთ. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენ ვიგერეთ ქვეითა ჯარის შეტევები. ფრონტის სხვა ნაწილებზე სიმშვიდეა. შამპანში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ დამთავრდა. გუშინ ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 14 ჰაეროპლანი და 4 ბალონი. კაპიტან ბერტოლმა გაიმარჯვა. ჩვენი ჰაეროპლანები ბრძოლის დროს ენერგიულად მოქმედებდნენ. გაანადგურეს ფრანგების დიდი ბანაკი შალონთან.

ს ტ ა მ ბ ო ლ ი, 2 აგვისტო. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. ფრონტის ნაწილებზე საარტილერიო ბრძოლაა. გზატკეცილი იერუსალიმ-ნაბლუსის დასავლეთით ჩვენ მოვიგერეთ მტრის მზვერავთა რაზმი. იორდანის აღმოსავლეთ ნაპირზე ძლიერი სამხედრო მოქმედებაა.

ჩვენმა ჰაეროპლანებმა ბევრი ყუმბარები ჩამოყარა მეამბოხეთა ბანაკში მაანის დასავლეთით.

აღმოსავლეთის ფრონტი. ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში ჩვენმა ჯირებმა ურმიის მიდამოებიდან გარეკეს სომეხთა ბრბო. ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა დაიკავეს ურმია. დანარჩენ ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ვ ე ნ ა, 2 ა გ ვ ი ს ტ ო. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. ფრონტის ბევრ ადგილებზე გაცხოველებული ბრძოლაა. აზიაგოს სამხრეთ დასავლეთით და ფელოს სამხრეთით მოგერებულ იქნენ მზვერავთა რაზმები.

ა ლ ბ ა ნ ე თ ი ს ფ რ ო ნ ტ ი: გენერალ პლიონცერის ჯარები დაედევნენ მტერს და მივიდნენ ფირე-ბერატის ხაზამდე, მტერი აქაც უკან იხევს. უკანასკნელ დღეების ბრძოლაში თავი ისახელა ბათალიონმა. № 3-მეს თავი ისახელა აგრეთვე ბოსნია-გერცოგოვინის №-2-რე ბათალიონმა და რაზმებმა: ბფსნის- № 7 ავსტრიის ლანდშტურმმა № 32 და უნგრეთის ლანდშტურმმა № 4.

პ ა რ ი ზ ი ი, 2 ა გ ვ ი ს ტ ო. სამხედრო ცნობა. შეტევები, რომელიც საფრანგეთის და მოკავშირეთა ჯარებმა აწარმოეს მარნასთან უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში, დამთავრდა სრული ჩვენი გამარჯვებით. დამარცხებულმა გერმანელებმა დასტოვეს თავის პოზიციები, ფონოენ-ტარდენუას და ვილ-ენიტარდენუას შუა. ჩრდილოეთით, ფრანგები შევიდნენ სუასონში. სამხრეთით ფრანგების ჯარები გადავიდნენ მდინარე კრიტზე. ცენტრში ფრანგების ჯარები შევიდნენ დოლიოს ტყეებში. მენიერის ტყის სამხრეთით, ფრანგების ჯარებმა დაიჭირეს კულონჟი. რომანსაი რეიმსის ჩრდილოეთით, ფრანგები წინ წაიწიენ 5 კილომეტრით. ვეზიელ-ლერის ხაზზე არდრომის და ველემის შუა ფრანგებმა დაიჭირეს გოიცილ-ლეუა.

ვ ე ნ ა, 2 აგვისტო. საღამოის გაზეთების გადმოცემით, ფელდ. მარშალ ეიხგორნის მკვლელობა, როგორც გრაფ მირბახისა მოსკოვში, ბრალდება შეთანხმების სახელმწიფოთა აგენტებს. მათი მიზანია: ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების გაუქმება, რუსეთი და უკრაინის ახალი ომში ჩათრევა და დასავლეთით მტრის ლაშქრის გაფანტვით, ახალი ფრონტის შექმნა აღმოსავლეთით.

ვენის ერთ-ერთი გაზეთი ამბობს: „შეთანხმებათა სახელმწიფოები ხელს უწყობენ რუსებისადმი გერმანელების სიძულვილს, რათა რუსის ხალხმა ვერ შეიგნოს, რომ შეთანხმებათა სახელმწიფოები არიან რუსეთის მტერი“.

როცა ფელდმარშალ ეიხგორნს მოკვლა დაუპირეს კიევში, უკრაინის გეტმანმა სკოროპადსკიმ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ვილჰელმს: ვერ ვპოულობ სიტყვებს იმ აღშფოთების გამოსათქმელად, რომელიც გამოიწვია ჩემში გერმანიის და უკრაინის მტრების მიერ ფელდმარშალ ეიხგორნის მოკვლის განზრახვამ. თქვენგან დავალებული უკრაინის მცხოვრებლები სთვლიდნენ ეიხგორნს კეთილშობილ მფარველად უკრაინის სახელმწიფოს დასავლეთ ნაწილში. ევედრებიან ღმერთს, რათა მალე კარგად გახდეს ფელდმარშალი ეიხგონი. უკრაინის მთავრობის და ხალხის სახელით ვთხოვ თქვენ სუდიდებულესობას: ნება ბოძოთ გამოვთქვა ჩვენი ღრმა მწუხარება მომხდარ უბედურების გამო.

## უცხოეთი.

ებრაელთა დარბევა.

დაბა საზრანში ებრაელთა დარბევა მოხდა. მოკლულია ებრაელთა სათემო საბჭოს თავმჯდომარე.

მიწის კანონის დამტკიცება.

უკრაინას ჰეტმინის მიერ საბოლოო რედაქციის დამტკიცებულ და ხელმოწერილია ქალაქთა გარეშე მდებარე მიწის ყიდვა-გაყიდვის კანონი, რომელიც მიწის ყიდვის უფლებას ერთ კაცზე 5 დესიატინით საზღვრავს, რაშიც იგულისხმება წინად ნასყიდი მიწაც.

სიმშილის საშინელება.

შელკოვკიდან (მოსკოვის გუბ.) საოლქო სასურსათო კომიტეტმა შემდეგი დეპეშა მიიღო: რაიონში საერთო სიმშილი ბალახსა და ძირებსა სჭამენ. ძილა არა გვყოფნის დავამშვიდოთ მშიერი ბრბოები, რომელნიც საჭმელს თხოულობენ. განსაკუთრებით ბავშვთა საკვდილი დღით-დღე მატულობს. საავათმყოფოებში და გილი არ არის, თუმცა იქაც კი სიმშილით კვდებიან.

ჯარში მკვლელობის გამო.

არდატოვის მაზრის სოფელ ტურტანკის, სადაც სამაზრო შტაბის უკრას. მოჰკლეს, 50, 00 მან. ჯარი მადაადვეს რომელიც აუცილებლივ ორ დღეში უნდა იყოს გადახდილი, დაგვიანების გამო ორმაგი ჯარიმა დაედება, და თუ ნებით არ გადაიხდიან მთელი ქონების კონფისკაციას მოახდენენ.

ტერორი.

უკრაინიდან იუწყებიან, რომ იქაურმა საიდუმლო ორგანიზაციებმა სიკვდილი გადაუწყვიტეს ბევრ გერმანელ ოფიცრებს და უკრაინელ პოლიტიკის მწარმოებელთ, რომელნიც გერმანულ ორიენტაციის აღიარებენ.

რევოლიუცია ბუხარაში.

ტაშკენტიდან ცნობა, რომ ბუხარაში რევოლიუციონური მოძრაობა ძლიერდება. ძველ ბუხარაში და კოკანდში ახალგაზდა ბუხარელები აგიტაციას ეწევიან ემირის ტახტიდან გადმოგდების შესახებ. რომელმაც რეპრესიები შემოიღო არსებულ კანონების დარღვევისთვის. მრავალს ატუსაღებენ. ემირი ქუჩებში გამოსვლას ვეღარ ბედავს.

გაფიცვები.

ჩერკასსა და დონეცის მაღაროებზე დიდი გაფიცვები დაიწყო. ნიკალაევში ფრანგულ ქარხნებში მუშაობა შეწყვეტილია. მუშები არ ემორჩილებიან საპროფესო კავშირების დადგენილებებს. ზოგიერთ ადგილებში მუშები იმუქრებიან, რომ თუ ადმინისტრატული ძალა იქნა ჩვენს წინააღმდეგ ნახმარი, მაღაროებზე წყალს მოუშვებთ და ამოვავსებთ.

გერმანეთის რაიხსტაგში.

გერმანეთის რახსტაგის სხდოეაზე, რომელმაც საერთო პოლიტიკური ყურადღება მიიპყრო, ფართე და ცხარე კამათი იყო, საერთოდ გერმანეთის პოლიტიკის შესახებ და კერძოთ ომის დროს დაპყრობილ ოლქების მიმართ წარმოებულ პოლიტიკაზე. სოციალისტკონმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა რომელიც თითქმის ბრალდება იყო იმ ტერორულ რეჟიმის გამო, რაც გერმანეთმა აწარმოვა ლიტვაში, მთელი ამ რეჟიმის დროს „თვითგამორკვეულ“ ლიტვაში 200 კაცია მოკლული და აუარებელი დამტყვევებული. ყველაფერი ეს კი ხდება იდეურ-პოლიტიკურ „დანაშაულთა“ შესამცირებლათ. სადღაა,—ამბობს კონი,—ის უზრუნველყოფილობის რეჟიმი, რომელსაც ნემცები ახალ შეძენილ ძმებს შეჰპირდენო!?

კლემანსოს გაზეთი ზავის შესახებ.

კლემანსოს გაზეთის მოწინავე წერილში ლაპარაკია საერთაშორისო ზავის ჩამოგდების შესაძლებლობაზე. გაზეთის სიტყვით, საფრანგეთი მზათ არის გერმანეთის ზავის პირობები მოისმინოს. საჭიროა მხოლოდ, რომ პირველად გერმანეთმა ამოიღოს ხმა და განმარტოს ზავის პირობებიო.

## ამონაწერი

საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიულ მთავრობის დადგენილებებიდან.

იუსტიციის მინისტრის განკარგულება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მოხდენილი, რათა სასამართლოების განაჩენი ცხადდებოდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებებით, დადასტურებულ იქმნას.

—

დაევალოს იუსტიციის მინისტრს: საჩქაროდ წარმოადგინოს თავისი პროექტები საგანგებო სასამართლოების შესახებ.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კანცელარიის დირექტორის თხოვნა ნიკოლოზ კელარევისა, ერთდროულ დახმარების შესახებ დაკმაყოფილებულ იქმნას ათ მილიონიან ფონდიდან.

—

დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს წინადადება მისცეს სხვა და სხვა დაწესებულებებისაგან დათხოვნილ ლიკვიდაციის გამო მოსამსახურეთ საჩქაროდ გავიდენ საქართველოს საზღვრებიდან, და თუ ისინი ნება-ყოფლობით არ შეასრულებენ, უფლება მიეცეს ხსენებულ მინისტრს მათი საქართველოდან ადმინისტრატიულ ზომებით დაუყონებლივ გაძევებისა.

—

ნება დაერთოს სათანადო დაწესებულებას გაჰყიდოს ყოფილი თავად-აზნაურობისა, განოვის ქუჩაზე არსებული მამული იმ პირობით, რომ მყიდველი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ქვეშევრდომი უნდა იყოს.

## ახალი ამბები.

✦ ხ ო ნ ი. მარიამობისთვის 2. ზოგიერთ სოფლებში ბალშევიკურ მოძრაობამ იჩინა თავი. მთარვრობის ჯარს ბალშევიკების ბანდასთან შეტაკება მოუხდა. ბალშევიკები იხევენ.

✦ გ ე ნ ე რ ა ლ ს უ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს დ ე პ ე შ ა. ქუთაისი მარიობისთვის 1. გენერალი სუამბათაშვილი სამხედრო მინისტრს შემდეგს აუწყებს! ჩვენი რაზმი როგორც ტყვიბულის მიმართულებით, ის სამხედრო-ოსეთის გზაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს იჭერენ. არტილერია, კაპიტან ყარყაშვილის მეთაურობით სანაქებოთ მოქმედებს. თანდათან ანგრევენ მტრის თხრილებს. მტერი მთებისკენ გარბის. შევიპყრეთ ბანდების ხელმძღვანელი. მათ თავიანთი გვარები არ გვითხრეს. არც სხვა რამ ცნობები მოუციათ. სამთავე დავხვრიტეთ. ოსეთის სამხედრო გზაზე დავიპყარით მეტათ მნიშვნელოვანი სიმაღლე გორ მაღალი, სადაც ვიპოვეთ 60 გვამი და 3 დაჭრილი. დაჭრილთა ჩვენების თანახმად, ივლისიხ 29-ის ბრძოლის დროს მოგვიკლავს მათი უფროსები: რომდოზი, ეფიმოვიჩი, და რატიანი. მტერს წავართვით რამდენიმე თოფი ბერდანის სისტემის, ვინტოვკა, როგორც რუსული ისე ფრანგული. ჩვენ მოგვიკლეს 1 ოფიცერი,3 ჯარისკაცი, დაგვიჭრეს 7. გამაგრებული და ბუნებრივად მიუდგომელი ადგილები საშუალებას აძლევენ ბალშევიკებს ზოგიერთი პოზიციები შეინარჩუნეს.

მთავრობამ დაავალა იუსტიცისა და სამხედრო მინისტრებს და სახელმწიფო კონტროლიორს ხელ ახლა განიხილონ შუამდგომლობა თბ. ქალაქის თვითმართველობის, რომელიც შუამდგომლობს 200 ათას მანეთის მიილებლტოლვილთა დასარიგებლად.

საქართველოს რესპუბლიკის არსებულ ქართულ ენის კურსებზე საველო შტაბთან მსმენელთა რიცხვი 90—დეა. მეცადინობა სწარმოებს 7-8 საათამდე. განზრახულია კურსებზე მეცადინობა შემოიღონ გერმანულ ენის შესასწავლად.

გარეშე საქმეთა სამინიტრომ მიმართა გერმანელთა დელეგაციის მეთაურს, რათა მან დაუბრკოლებლივ გამოუშვას ქ. დორპატიდან (ყოფილი იურიევი) თფილისში ექიმი და მაგისტრფარმაცევტი კლემენტი ლომიძე, რადგანაც ის დანიშნული საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სასანიტარო ინსპეკტორის თანაშემწეთ.

✦ საკონსტიტუციო კომისის მოხსენების თანახმად პარლამენტის წევრს სხვა ადგილზე სამსახურის ნება არა აქვს.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა მილიციის უფროსს ენერგიული ზომები მიიღოს ვაჭრებისაგან სამკურნალო გადასახადის შესაკრებად.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტორმა სთხოვა ლტოლვილთა გამგეობას დასტოვოს 15 აგვისტომდე ბათუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილება ძველ ბინაში, ქალთა მეხუთე გიმნაზიის შენობაში.

✦ ფოთის ქალაქის თვითმართველობა სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს 40 ათას მანეთი გადადოს ხოლერასთან საბრძოლველად.

✦ ქალაქის ცენტრალ საავადმყოფოსთან (სალდათთა ბაზარი) დაინიშნა მუდმივი დარაჯობა ექიმთა გამოსაწვევად ხოლერით ავადმყოფთათვის.

✦ ეროვნულ საბჭოს კონსტიტუციონურ კომისიაში მიწვეული იქმნა სამუშაოდ გ. ნანიშვილი, როგორც საქმის მცოდნე.

✦ თბილისში ჩამოვიდა მიტროპოლიტი ქყონდიდისა ამბროსი.

✦ მთავრობის დადგენილებით, სამოქალაქო უწყების სამკურნალო გამგეობა ამიერკავკასიისა გაუქმებული იქმნა. მოსამსახურეებს მიეცემათ სალიკვიდაციო ფული. შინაგან საქმეთა სამინისტოსთან არსდება სამკურნალო სასანიტარო ნაწილი რომელსაც გადაეცემა ყველა კრედიტები. შტატები ისევე დარჩება.

✦ მთავრობამ დაადგინა. დამტკიცებულად. ჩაითვალოს იუსტიციის მინისტრის წინადადება, ყველა სამოსამართლო აქტები იწყობოდეს შემდეგი სიტყვებით. „საქართველოს რესპუბლიკის სახელით".

✦ თათბირი სათბობი მასალის შესახებ სათბობი მასალის შესახებ მომხდარი თათბირის უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა გ. ნიკ. ნიკოლაძე, გამოირკვა, რომ მკათათვის 30 სათადარიგო ნავთის რაოდენობა სულ სამასი ათას ფუთს უდრის. რკინის გზებს და სხვა საწარმოო დაწესებულებებს თვიურად უნდებათ 425 ათასი ფუთი თათბირმადროებით გადასდო იმ საკითხის გადაწყვეტა, რომლის თანახმადაც მარიამობისთვის პირველიდან უნდა შეეწყვიტათ ელექტრონ ნაკადი კლუბების, თეატრების, სახლების და მაღაზიების გასანათლებლად. თათბირმა დაადგინა, რომ საგურამოს, გავასის და თელავის ტყეებში შეშის დასამზადებლად სასწრაფო ზომები იქმნას მიღებული.

✦ გამოვიდა ქართვ. სოც.-ფედ. გაზეთი „შრომა".

✦ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ქუთაისის და თფილისის კომისრებს დაევალათ დახმარება აღმოუჩინოთ ყველა იმ პირთ, რომელთაც მიწად-მოქმედების მინისტრისაგან მინდობილი ექნებათ შეშის გამოანგარიშება, როგორც ტყეში ისე რკინის გზის სადგურებზე ქალაქებისა და სოფლების საწყობებში.

✦ შინადან საქმეთა სამინისტრომ 30 ათასი მანეთი გადასდო მოსამსახურეთა გზის სახარჯ ფულად მისაცემად.

✦ ხოლერასთან საბრძოლველად შინადან სამინისტრომ გადასდო 30 ათასი მანეთი.

✦ დ. თოფურიძე დაინიშნა სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ. ამავ კომისიის წევრად დანიშნულია ს. გ. მდივანი.

✦ მილიციის უფროსად ახლად დანიშნული აპ. ურუშაძე უკვე შეუდგა თვის თანამდებობის აღსრულებას და გუშინ-დღიდან ქალაქის დათვალიერებას შეუდგა.

✦ გენ. ფონ-კრესსი ერევანში. სომხეთა დიპლომატიურ მისისთან, არსებულ საინფორმაციო ბიუროს საქართველოში ატყობინებენ რომ გერმანიისა და ავსტრიის მისიათა წარმომადგენელნი გენ. ფონ-კრესსი და ბარონ ფრან-კელშტეინი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის ა. ჯამალიათან ერთად ჩასულან 30 ივლისს საღამოს $10^1/_2$ ს. სომხეთა საზღვრებში. ერევნის სადგურზე მათ შეხვდენ ქალაქის თავი გარნიზონის უფროსი კომენდანტი და საპატიო დარაჯთა რაზმი. ვახშმად ერევნის ქალაქის თავთან იყვნენ მიწვეულნი. მეორე დღეს სტუმრებმა დარბაზობა გადუხადეს სომხეთა მთავრობის წევრებს. მინისტრთა თავმჯდომარე ო. ყაჩაზნუნიმ გააცნო საქმის მდგომარეობას. ერევნიდან გაემგზავრენ ეჩმიაძინში და ინახულეს სომხეთა კათალიკოსი. იმავე დღეს დაბრუნდენ ერევანში საცა მათ გაუმართეს ბანკეტი. იმავე ღამით საპატიო სტუმრები თბილისში გამოემგზავრენ.

✦ დიდძალი სურსათ-სანოვაგე. ფოთში დიდძალი სურსათ-სანოვაგე დაგროვილა: საპონი, შაქარი, სანთელი და სხვ. დაახლოებით 500 ათის მანეთისა და სხვა საალმენებლო მასალა 2 ნახ. მილიონ მანეთისა.

✦ გიმნასტიური საზოგადოება „ამირანი", არსებული სამხედრო სავშირთან გადაკეთდა „შევარდენათ".

✦ გადასახადების დაწესება სასმელებზე. ფინანსთა მინისტრის თავმჯდომაეობით 2 აგვიატოს შემდგარ კრებაზე პირველად წაკითხულ იქმნა კანონპროექტი საქართველოში ღვინოსა და არაყზე გადასახსდების დაწესებისა და ღვინითა და არყით ვაჭრობის შესახებ. კანონპროექტი შემდგარია ძველ-ფრანგულ სისტემით. გადასახადი დაწესებულ იქნება ბოთლებში ჩასხმულ ღვინოზე.

სოფლიდან სოფელში ღვინის გაზიდვა თავისუფლგდ უნდა სწარმოებდეს. ვენახის პატრონები განთავისუფლებულ არიან ყოველგვარ გადასახადებისაგან. ღვინის ვაჭრობა სრულიად თავისუფალი უნდა იყოს. ღვინოზე სხვა გადასახადები მოისპობა. საქართველოში შემოზიდულ ღვინოზე დაწესებული იქნეაა „დასაფარავი" გადასახადი. უცხოეთში გაზიდულ ღვინოზე აქციზი დარჩება. დასასრულ არჩეულ იქმნა განსაკუთრებული ცალკე კომასია. ღვინის აქციზის შემოსავალი, წინასწარ გამოანგარიშებით, 30 მილ. მნ. აღემატება.

## ქართული ლატარიის გამგეობისაგან.

### ყველა კულტურულ და კომერციულ დაწესებულებებს:

თქვენ უთუოდ მოგეხსენებათ, რომ ქართულ უნივერსიტეტისა და თეატრის სასარგებლოდ მთავრობის ნება-რთვით იმართება **ხუთ მილიონიანი, მოგებიანი ლატარია.**

აქამდის ბილეთების დამზადება შეაფერხა ტეხნიკურმა დაბრკოლებებმა (ლიტოგრაფიის ხანგრძლივმა გაფიცვამ, შემდეგში ელექტრონის ენერგიის უქონლობამ და სხვ.).

ეხლა კი ყოველი დაბრკოლებანი ძლეულია და ლატარიის ბილეთები ამ მოკლე ხანში გამოვა გასასყიდად.

თვით ლატარიის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედ-მეტად მიგვაჩნია, რადგან ცხადზე უცხადესია, რომ ქართველი ერი მოინდომებს მისი მეცნიერებისა და ხელოვნების საქმე ნივთიერადაც გააძლიეროს, მხოლოდ ენერგიის მიყოლება უნდა საქმეს, რომ ეს დიდი თანხა ხუთი მილიონი შემოკრებს.

ამისათვის, გთხოვთ, დროით გვაცნობოთ თუ რომელი დაწესებულება ლატარიის რამდენ ბილეთს დაიკვეთს, რომ ჩვენც დროით დავგზავნოთ საჭირო ბილეთები.

მისამართი: ქ. თბილისი, სასახლის ქუჩა, ქარვასლა, № 5, **ლატარიის დროებით კანტორას.**

ნამდვილზე ხელს აწერენ: ლატარიის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი ლასხიშვილი.

წევრნი: შალვა დადიანი,
სოლომონ ახვლედიანი,
პეტრე ქავთარაძე.

## კორესპონდენცია

ერობა კახეთში. თუ სადმე საჭიროა ერობის შემოღების დაჩქარება —ეს კახეთში. ას წლობით საალმაშენებელ მოქმედებას მოკლებული კახეთის სოფლები, ამ ომის წყალობით, თუ კულტულური ნიშან-წყალი ეტყობობოდა რამე იმის ხსენებაც არსად არის.

გზები, რომლებსაც წინედ ასე თუ ისე ყურადღება ექცეოდა, დღეს კლდე-ღრედ იქცა, ისე რომ მიმოსვლა გაძნელებელია. სწავლა-განათლება უკანასკნელ საფეხურზე დამდგარი, და ის მცირეოდენი სკოლები, რომლებიც აქა-იქ არსებობენ სრულებით ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას. საექიმო დახმარებას დიდი ხანია გამოეთხოვა თელვის მაზრა. მთელ 80 ითას მცხოვრებიან რაიონში არც ერთი ექიმი არ მოიპოვება, ხოლო წინედ რომ იყო სასოფლო ქსენონები—მაგრად დაკეტილია. ხალხი-კი დიდ განსაცდელშია, სხვა და სხვა ავადმყოფობის გამო. ნამეტნავად გაღმა მხრის სოფლებში, სადაც დიდი ხანია რაღაც გადამდები სენია გაჩენილი და მუსრს ავლებს მცხოვრებთ...

მაგრამ, ყველას დასასრული აქვს და შორს აღარ არის ის დრო, როცა რიგიანი პატრონი და გულშემატკივარი გამოუჩნდება ჩვენ ტურფა კახეთს ერობის სახით.

თელავში უკვე შესდგა ერობის შემოსაღებად სამაზრო კომიტეტი, რომლის თავჯდომარედ არჩეულია ქალაქის საბჭოს თვჯდომარე ლ. ვახვახიშვილი. ეს კომიტეტი უკვე შეუდგა მოქმედებას. თელვის რაიონი დაჰყო 4 რაიონად, ყველა რაიონში დანიშნულია ინსტრუქტორები, რომელთა მოვალეობას შეადგენს სოფლის მცხოვრებთა მომზადება საერთოდ ერობისათვის და კერძოდ მომავალ არჩევნებისათვის.

ერობის ხმოსანთა არჩევნები უკვე დანიშნულია 1 ენკენისთვის, 17 მარიანობისთვეს მოხდება სიების უკანასკნელი გამოფენა, მხოლოდ 20-ში მოხდება სახმოსნო სიების დამტკიცდება.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თელვის დი სოფლის საზოგადოების შეგნებული ნაწილი შესაფერისი ყურადღებით მოეკიდება ამ დიდ მნიშვნელოვან ჩვენი ცხოვრებისათვის საქმეს და ისე მოემზადებიან მომავალ არჩევნებისათვის.

დონ.

## უმთავრესი დებულებანი საქართველოში სასანიტარო და სამკურნალო მართვა-გამგეობისა. *)

ვბეჭდავთ ამ მოხსენების ძირითად თეზისებს:

1. საქართველოს რესპუბლიკამ უნდა აღიაროს, რომ ფიზიკური ჯანმრთელობა ერის განვითარების და წინმსვლელობის ძირითადი ძალაა, რომ ამ საფუძველზე არის დამყარებული ერის კეთილდღეობა და სახელწიფოს ძლევამოსილება და ამისათვის ჯანმრთელობის მფარველობა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა შეადგენს უპირველესს სახელმწიფოებრივ მოთხოვნილბას და აუცილებელ მოვალეობას.

2. საქართველოს სასანიტარო და საექიმო საქმის და მის მართვა გამგეობის მოწყობის გეგმა არის დამყარებული საქართველოს სასანიტარო და საექიმო მოთხოვნილებათა შესწავლაზე და აგრეთვე უცხო მაგალითების გათვალისწინებაზე.

3. ამ დებულებათა მიხედვით სასანიტარო და საექიმო ნაწილი საქართველოში უნდა იყოს აღიარებული დამოუკიდებელ და თვითმდგომარე უწყებად, მთავარ გამგეობის ხელმძღვანელობით. სასანიტარო მთავარ გამგეობას ექვემდებარება სამოქალაქო და სამხედრო სასანიტარო, საექიმო და საკურორტო სიქმეები და აგრეთვე საბეითალო ნაწილი.

4. სასანიტარო-საექიმო მთავარ გამგეობის ორგანოებია: სასანიტარო და საექიმო საბჭო, საბეითალო საბჭო, საფარმაცევტო კომისია და სახელმწიფო სასანიტარო ინსტიტუტი.

5. სახელმწიფო სასანიტარო ინსტიტუტის განყოფილებანი არიან:1) საექიმო სტატისტიკა, 2) ჰიგიენა, 3) ბაქტერიოლოგია (პასტერის სადგურით, ყვავილის ამცრელი ინსტიტუტით და სეროლოგიის ქვე-განყოფილებით), 4) გადამდებ სენთა განყოფილიება, 5) მალიარიის და სხვა ცხელი ქვეყნების ავადმყოფობათა განყოფილება, 6) ტუბერკულიოზის განყოფილება, 7) ვენერიულ სენთა განყოფილება, 8) ქიმიური და საკურორტო განყოფილება, 9) სასამართლო მედიცინის განყოფილება, 11) საფარმაცევტო განყოფილება (ფარმაკოლოგიით) და 12) მთავარი საწყობი სასანიტარო ავეჯეულებათა მედიკამენტებთა და შესახვევ მასალათა.

შენიშვნა 1. ამ პირველ ხანებში სასანიტარო ინსტიტუტში იკმარებს რვა განყოფილებანი, რომელნიც უკვე ფაქტიურად არსებობენ: 1) საექიმო სტატისტიკა (უნდა შეერთდენ შესაფერი განყოფილებანი საოლქო სამხედრო სასანიტარო და სამოქალაქო საოლქო საექიმოთა გამგეობათა), 2) ქიმური და საკურორტო განყოფლბა (შეერთება ორ არსებულ ქიმიურ ლაბორატორიათა სამხედრო და სამოქალაქო უწყებაში), 3) სასამართლო ექიმობის (შეერთება სამოქალაქო უწყების ამ დარგის ლაბორატორიისა და მიხეილის სამკურნალოს პროზექტურის), 4) ბაქტეროლოგიის განყოფილება პასტერის სადგურით (შეერთება ორ უწყებაში არსებულ ლაბორატორიათა), 5) მალიარიის სადგური, არსებული მალიარიის კომიტეტთან, 6) მთავარი საწყობი სასანიტარო ავეჯეულებათა, მედიკამენტებთა და შესახვევ მასალათა (არსებული Комитетъ санитарнаго снабженія). 7) საბეილათო და 8) საფარმაცევტო განყოფილებანი-

შენიშვნა 2. საექიმო ფაკულტეტის დაარსებიდან ინსტიტუტი თანდათან გახდება ორგანიულ ნაწილად ფაკულტეტისა, მის განყოფილებათა გამგეებად იქნებიან პროფესორები.

6. ინსტიტუტის განყოფილებათა გამგენი იქნებიან უმაღლეს სასანიტარო და სამკურნალო საბჭოს წევრებად; წევრებად იქნებიან აგრეთვე ჯარის სასანიტარო ინსპექტორი, თბილისის სამკურნალოთა დირექტორები, ქართველ ექიმთა საზოგადოების და საშუალო პერსონალის თითო წარმომადგენელნი.

7. საბჭოს თავმჯდომარეა ამ ნაწილის მთავარი გამგებელი, რომელსაც ჰყავს სამი თანაშემწე: ჯარის სასანიტარო ინსპექტორი, სამოქალაქო და საბეითალო ნაწილთა ინსპექტორები.

8. მთავარ-გამგეობას შეადგენენ მთავარ-გამგებელი, სამი თანაშემწე და შესაფერი კანცელარია, რომელიც საზოგადო იქნება საექიმო საბჭოს კანცელარიასთან.

9. მთავარ გამგებელი ვერავითარ კანონპროექტს ვერ წარმოადგენს უმაღლეს ინსტანციებში საბჭოს დაუდასტურებლად.

10. მთავარ გამგეობის ადგილობრივი ორგანოები არიან ქალაქების და სამაზრო ერთობათა სასანიტარო საბჭოები.

შენიშვნა 1. თვითმართველობათა ხელში გადადის სასანიტარო პოლიცია, სასამართლო ექიმობა, სანიტართა და მკურნალობის საქმე.

შენიშვნა 2. არსებულნი საგუბერნიო საექიმო გამგეობანი სრულიად ისპობიან.

11. მთავარ გამგეობას ექვემდებარებიან: მიხეილის სამკურნალო საფერშლოს კოლითურთ, საბებიო ინსტიტუტი საბებიო სკოლით, რკინის გზის ლაზარეთი, მთავარი სამხედრო ჰოსპიტალი საფერშლო სკოლითურთ და სურამის პსიქიატრული სამკურნალო.

შენიშვნა 1. ყველა ამ დაწესებულებებს ესაჭიროება ძირითადი რევიზია და მიზან შეწონილი რეორგანზაცია.

12. ამის გარეშე სამკურნალოების მოწყობაში ცენტრალიზმი უარყოფილი უნდა იქმნას და პირველ რიგში უნდა გაუმჯობესდეს სოფლის სანიტარული მდგომარეობა მოეწყოს სოფლებში ქსენონები იმ ანგარიშით, რომ 20, ათას მცხოვრებს მაინც ჰყვანდეს ერთი ექიმი და სამაზრო 30 საწოლიანი სამკურნალოები.

*) ექ. ვირსალაძის მოხსენება, რომელიც თითქმის უცვლელად მოეწონა ექიმთა და ბუნებისმეტყველთა კრების უმეტესობას ამ წლის 19 ივნისს.

## განცხადებები

თბილისის სამოქალაქო მილიციის უფროსი აცხადებს: „თბილისში მცხოვრებ ადამ სტეფანის ძე ტომაშუნასმა განაცხადა, რომ მას დაეკარგა 1) პიროვნების მოწმობა კავკასიის ლიტველთა საოლქო საბჭოს მიერ მიცემული 1918 წ. 16 თებერვალს 383 ნომრით, 2) სამშობლოში წასასვლელი მოწმობა № 937. მიღებული 9 ივლისს 1918 წ., 3) გერმანიის საკონსულოს მოწმობა № 486 20 ივლის 1918 წ. მიღებული. და 4) უვადო პასპორტი ალექსანდროპოლის სამაზრო პოლ. მიღებული № 160 1907 წ. 1 დეკემბერი. მნახველი ვალდებულია ეს მოწმობები წარმოადგინოს სამილიციო მართველობაში. (3—3)

დავკარგე ქალ. არდაგანის ევაკუაციის დროს თბილისის განყოფილების სახელმწიფო ბანკის მიერ მოცემული შაქრის მიღების ხელწერილი 4.000 მან. ობლიგაციები № 49949. შუშანიკა გიორგის ასული ვართანიანცი. (3—3)

ორშაბათს, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. მიხეილის პროსპექტი № 119 და მერმე № 55 მეორე ქართულ დივიზიის ლაზარეთების ყოვარგის ნივთეულებისა საცვლისა, თანაჭის ჭურჭლეულობისა, ხის საწოლებისა და სხ. საშინაო ავეჯეულობისა. მეორე დივიზის ექიმი დ. ახვლედიანი.

მომრიგებელ მოსამართლე ქალ. თბილისის III განყოფილებისა იწვევს მემკვიდრეთ გარდაცვალებული ლებედევისას რათა ჩაიბაროს დარჩენილი ქონება ლებედევისა.

თბილისის 1 მომრიგებელ განყოჯილების სასამართოს ბოქაული ვ. ა. ზამოისკი ამით აცხადებს, რომ 16 აგვისტოს 1978 წ. დილის 10 სადზე მოხდება საჯარო ვაჭრობა, სადაც გაიყიდება ალექსანდრა მელიქ-შახნაზაროვის მოძრავი ქონება რომელიც სახლის მოწყობილებას შეადგენს და შეფასებულია 475 მანეთად. ვაჭრობა მოხდება შახნაზაროვის სადგომში არწურინის ქუჩა № 24, პირველ სამომრიგებელო ნაწილში.

თურქესტანის საპიორის ბატალონის დაკარგული შაქრის ბარათი № 53981, მიღებული სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორისაგან 1917 წ. 5%, თავისუფლების სესხის ქაღალდებით 32050 მანეთისა გთხოვთ ჩასთვალოთ გაბათილებულათ. (3—2).

## განცხადება.

თბილისის პირველი 8 კლასიანი ებრაელთა გიმნაზია, დაარსებული შუსტერის მიერ და უფლებიანი ყველა ეროვნების ბავშვთათვის, აცხადებს, რომ იხსნება პარალელური გან- ყოფილებები საანბანო, უმცროს, უფროს და მოსამზადებელ განყოფილებებთან I, II, III, IV და V კლასებთან. საგნებს ასწავლიან რუსულ ენაზე. ქართული და სომხური ენები— მსურველთათვის. მისაღები გამოცდები დაწყება ამა წლის 25 აგვისტოდან, 9 საათზე. ებ- რაელი მოწაფები, რომლებიც გამოცდას ვერ ჩააბარებენ ებრაულ ენაში (ებრაელთათვის სავალდებულო საგანია) მიღებული იქნებიან იმ პირობით თუ კერძოთ იმეცადინებენ.

თხოვნებს ღებულობენ გიმნაზიის კანცელიარიაში ბ. ვ. № 12 ტელეფ. 3—68. 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ.

გიმნაზიის მმართველი ბ. კ. კრამარენკო.